



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


№17 (9.731)

7 - 14 მაისი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

ისინი ქვნიან ისტორიას...



უკველესი სამარხები ივრის ზეგანზე



სააღდგომო მკისტილე



— უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე დაკვირვება, თითოეული ჩვენი ქვეყნის სწორი შეფასება, უნდა ვისწავლოთ ანალიტიკური აზროვნება, თეთრინა და შავის გარჩევა, რაც საშუალებას მოგვცემს გოგონებს განვუმოროთ და სიკეთეს ვეძიებოდეთ.

ეკლესიას დიდი სურვილი აქვს, მზრუნველობა გაუწიოს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ასაკის გამო გავმეტოვებთ სასწავლო ალბან აჩერებენ, დასავლელიც არსად აქვთ და არც ცხოვრებისთვის არიან მომზადებული.



ანარმო საქართველოში

83.2

„ანარმო საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში 164 სანარმო დაფინანსდა



კანონი-სარისხიანი სათესლე მასალისათვის

83.5

პირველი ნაბიჯი



ე.წ. „მწვანე ქვეყნების“ ინდექსები საქართველო 111-ე კოზიციიაზე

83.2



გიორგი კვიციანიშვილი მთავრობის წევრებს მოუწოდა, საზოგადოებას ახალი საწარმოების შესახებ მეტი ინფორმაცია მიაწოდონ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა მთავრობის წევრებს მოუწოდა, საზოგადოებას ახალი საწარმოების შესახებ მეტი ინფორმაცია მიაწოდონ. მთავრობის სხდომაზე გიორგი კვიციანიშვილმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს დიმიტრი ქუციაშვილს გადაცემა „არჩევანში“ საწარმოების შესახებ ინფორმაციის კარგად მიწოდებისთვის მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ ინტენსიურ მუშაობას და ვფიქრობ, რომ კიდევ არაერთი საწარმო გაიხსნება. მე მოგიწოდებთ მთავრობის წევრებს, მაქსიმალურად ჩაერთონ ამ კომპანიების თაობაზე ინფორმაციის საზოგადოებაში მიტანის პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენმა მოქალაქეებმა იცოდნენ, რომ თითოეული ასეთი პროექტი არის განსაზღვრული იმისთვის, რომ შექმნას ახალი სამუშაო ადგილები. ძალიან ხშირად ალბათ საჭიროა უფრო მეტი ინფორმაციის მიტანა. მინდა მადლობა ეთხროს ეკონომიკის მინისტრს, რომ მან საკმაოდ კარგად, ვიზუალურად წარმოადგინა რამდენიმე პროექტი. სამწუხაროდ, მას არ მიეცა საშუალება მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა. არ ვიცი, ეს ტექნიკური ხარვეზი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ მე მინდა ყველა თქვენგანს მოგიწოდოთ, რომ მაქსიმალურად შევეცადოთ მეტი ინფორმაცია მივანოდოთ საზოგადოებას ასეთი პროექტების შესახებ“, - მიმართა პრემიერმა მთავრობის წევრებს.

„აწარმოე საქართველოში“ წარმოების ფარგლებში 164 საწარმო დაფინანსდა



„წარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მთავრობის სხდომაზე დღეს კიდევ სამ პროექტს განიხილავენ. როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, პირველი არის მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ფერმერული პროექტი, რომელსაც სოფელ მარტყოფში განახორციელებს კომპანია „მარტყოფის ბაგა“ და კომპანიის მხრიდან 2,5 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია გათვალისწინებულია. მეორე არის დაბა ხელვაჩაურში სამშენებლო მასალების საწარმოო კომპანია, სადაც მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია გათვალისწინებულია და მესამე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემა, სადაც გათვალისწინებულია მინერალური პროდუქტების საწარმოს მშენებლობა და დაახლოებით 200 ათას ლარამდე ინვესტიცია გათვალისწინებულია.

„ჩვენ ვაგრძელებთ პროგრამა „წარმოე საქართველოში“ პროექტების დაფინანსებას. ამ პროგრამის ფარგლებში უკვე 164 საწარმო დაფინანსდა. მთლიანი ინვესტიციები 400 მილიონ ლარს აღემატება და 7500-ზე მეტი ადამიანის დასაქმებას ითვალისწინებს“, - განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა.

პესკოვი - სომხეთს ყარაბაღის აღიარების საკითხი მოსკოვთან არ განუხილავს

რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერის, დიმიტრი პესკოვის განცხადებით, სომხეთს ყარაბაღის აღიარება მოსკოვთან არ განუხილავს.

როგორც ეურონიუნს.გე წერს, პესკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვას, განიხილეს თუ არა ერევანმა და მოსკოვმა ყარაბაღის აღიარების საკითხი.

ამასთან, პესკოვის თქმით, მოსკოვი იმედოვნებს, რომ ყარაბაღის კონფლიქტის მხარეები თავს აარიდებენ ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც ისედაც მყიფე მშვიდობას საფრთხის ქვეშ დაყენებს.

ნაციონალური მოძრაობის” პირველი ათეული ძველი “ნაციონალები” გარეშე - ვინ ვერ მოხვდა სიაში

გიორგი ვაშაძემ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” დატოვა. საგანგებო ბრიფინგზე ვაშაძემ განაცხადა, რომ ის ახალ პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის. მისივე თქმით, “ნაციონალური მოძრაობისგან” ამომრჩეველი ელოდა ახალ ინიციატივებს, რაც არ განხორციელდა და პარტია დახურულ, კაბინეტურ სისტემად ჩამოყალიბდა.

როგორც ვაშაძემ “რეზონანსთან” საუბარში პარტიის პრესსამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, “ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პარტია შესაძლოა დატოვონ სხვა წევრებმა, მათ შორის კანდელაკმა, მინაშვილმა და თაქთაქიშვილმა, სიმართლეს არ შეესაბამება. ისინი რჩებიან პარტიაში და აგრძელებენ ბრძოლას”, - აცხადებენ პარტიაში.

“რეზონანსი” აქვეყნებს, ჯერჯერობით არასაბოლოო, თუმცა “ნაციონალური მოძრაობის” პირველი ათეულის საგარეშო სია:

- | | |
|------------------------|----------------------|
| 1. ლავრო ბაქრაძე | 6. გიორგი კანელიანი; |
| 2. რომან შინგირაძე | 7. ზაზა ზივილაშვილი |
| 3. გიორგი ქაღახიძე | 8. ნიკა გილა |
| 4. ქაიხოსრო მარტოშვილი | 9. ირაკლი აბაშიძე |
| 5. სალომე სამაღალაძე | 10. ოთო კახიძე |

“თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საარჩევნო ათეულში გარდა დავით ბაქრაძისა, პრაქტიკულად ყველა ახალი სახეა, ლოგიკურია, რომ ამან შესაძლოა პარტიაში გარკვეული განხეთქილება და უთანხმოება შექმნას. მაგალითისთვის, პირველ ათეულში არ მოიაზრებიან პარტიის ისეთი სახეები, როგორებიც არიან მიხეილ მაჭავარიანი, გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი

და ირმა ნადირაშვილი. პირველი ათეულის სიის ფორმირებასთან დაკავშირებით პარტიის ძველსა და ახალ წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება ახლაც გრძელდება და შესაბამისად, გამორიცხული არაა ვაშაძის მსგავსად პარტიიდან წამოსვლელთა რიგებს უკვე “ძველი” “ნაციონალებიც” შეუერთდნენ”.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე თამარ ქაღახიძის შემცვლელის შერჩევა იწყება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობაზე თამარ ქაღახიძის შემცვლელის შერჩევა იწყება. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა უკვე გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.

პრემიერის ბრძანებით, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული, თამარ ქაღახიძის შემცვლელს აირჩევენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, უზუნაქი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე შაია თოდუა, სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორი გიორგი კლიდიაშვილი.

კანონმდებლობის თანახმად, ინსპექტორად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება და შესაბამისი საქმიანი და მორალური თვისებები.

ინსპექტორის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს 11 და არაუგვიანეს 10 კვირისა, ხოლო უფლებამოსილების შეწყვეტიდან 1 კვირის ვადაში კომისია საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ინსპექტორის შესარჩევ საკონკურსო კომისიის წევრებს. კომისიის ყველა წევრის წარდგინიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი იწვევს კომისიის პირველ სხდომას.

ინსპექტორის შესარჩევ საკონკურსო კომისია ხმათა უმრავლესობით შეარჩევს ინსპექტორის არანაკლებ 2 და არაუმეტეს 5 კანდიდატურას და წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც თავის მხრივ 10 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს 2 კანდიდატურას ინსპექტორის თანამდებობაზე ასარჩევად. საქართველოს პარლამენტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, კანდიდატურების წარდგინიდან არაუგვიანეს 14 დღისა ირჩევს ინსპექტორს. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევისათვის საკმარისი რაოდენობის ხმები, საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2 კვირის ვადაში აცხადებს ხელახალ კონკურსს.

ინსპექტორი ინიშნება 3 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი ინსპექტორის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოქმედი ინსპექტორი თამარ ქაღახიძე თანამდებობაზე 2013 წლის 1 ივლისს დაინიშნა.

ე.წ. „მწვანე ქვეყნების“ ინდექსში საქართველო 111-ე პოზიციაზეა



ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსში (Environmental Performance Index, EPI) საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 111-ე პოზიციაზეა.

იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების მიერ წარდგენილი ინდექსის ავტორები 9 ფაქტორით ხელმძღვანელობენ, მათ შორის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, წყლის რესურსებისა და ტყის მასივის ზონები, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, ჰაერის ხარისხი, ქვეყნის წყლის რესურსების მდგომარეობა, ბუნებისა და გარემოს სანიტარული ნორმები და ასე შემდეგ.

ინდექსის თანახმად, მსოფლიოს ყველაზე მწვანე ქვეყნად ფინეთი დასახელდა, რომელსაც ისლანდია, შვედეთი, დანია და სლოვენია მოსდევს.

რაც შეეხება ჩვენს მუშაობაზე ქვეყნებს - აზერბაიჯანი 31-ე, სომხეთი -37-ე, უკრაინა 44-ე, თურქეთი 99-ე, რუსეთი კი 32-ე პოზიციაზეა.

ინდექსის ბოლო საფეხურებზე სომალი, ერიტრეა, მადაგასკარი და ნიგერი აღმოჩნდნენ.

EPI-ის თანახმად, მსოფლიოში სიკვდილიანობის მეტი მაჩვენებელი დაბინძურებულ ჰაერზე მოდის და არა - დაბინძურებულ წყალზე.

„მსოფლიოს მცხოვრებთა 3,5 მილიარდ ადამიანზე მეტი ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც ჰაერის დაბინძურების მაღალი საშიშროებაა“, - ნათქვამია ანგარიშში.

ამასთან ერთად, განახევრდა და 550 მილიონი ადამიანი იმ ადამიანთა რაოდენობამ, ვისაც სუფთა წყალზე წვდომა არ აქვს.

რა დაფინანსებაცაა გარემოსდაცვითი მიმართულებით, იმ თვალსაზრისით ცუდი შედეგი არ უნდა გვექმნოდეს, მითუმეტეს, რომ ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსის მაჩვენებლის გაუმჯობესების პოტენციალი გვაქვს, - ამის შესახებ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსის (Environmental Performance Index, EPI) კომენტარებისას განაცხადა, რომელშიც საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 111-ე პოზიციას იკავებს.

აგულაშვილის თქმით, რამდენიმე ინდიკატორში საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესებულია, თუმცა რეიტინგზე ყველაზე ცუდი გავლენა იქონია იმ ფაქტმა, რომ ჩამდინარე წყლების განმუხტვის ინდიკატორში საქართველოს აქვს 0 ქულა, რაც მინისტრის შეფასებით, გამოცემის ავტორთა ინფორმაციის არქონაზე უნდა მიუთითებდეს.

„მნიშვნელოვანი უკანდახევა ჩვენ გვაქვს ჩამდინარე წყლების განმუხტვის მაჩვენებლებში, სადაც 195-ე ადგილი გვიკავია და რა თქმა უნდა, ეს უკან გვწევს. დღეს არსებობს რამდენიმე პროგრამა, რომელიც ხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და ბუნებრივია, ეს შემდეგ აისახება ინდიკატორებში გაუმჯობესების თვალსაზრისით. ჩვენ თვალს ვადევნებთ ამ პროცესს და როგორც თემატურ გარემოსდაცვით ინდექსს, ისე გარემოსდაცვით კომპონენტებს ვაქცევთ ყურადღებას. ჯამში შემიძლია გითხრათ, რომ რა დაფინანსებაც არსებობს გარემოსდაცვითი მიმართულებით, როგორი მოთხოვნაც არსებობს

ბაზარზე, ამ თვალსაზრისით, მე ვფიქრობ, ცუდი შედეგი არ უნდა გვექმნოდეს და მითუმეტეს, გვაქვს პოტენციალი ამ მაჩვენებლის გაუმჯობესების. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არსებული მონაცემები გვაძლევს თვითკმაყოფილების განცდას იმის გათვალისწინებით, რომ თუნდაც თბილისში ჩამდინარე წყლების განმუხტვის მდგომარეობა რამდენად კრიტიკული შეიძლება იყოს“, - განაცხადა აგულაშვილმა.

რაც შეეხება ჰაერის ხარისხის ინდიკატორის გაუმჯობესების მიზნებს, აგულაშვილი ერთ-ერთ მთავარ მიზეზად საწვავის ხარისხის გაუმჯობესებას ასახელებს.

ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსში (Environmental Performance Index, EPI) საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 111-ე პოზიციაზეა. იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების მიერ წარდგენილი ინდექსის ავტორები 9 ფაქტორით ხელმძღვანელობენ, მათ შორის არის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, წყლის რესურსებისა და ტყის მასივის ზონები, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, ჰაერის ხარისხი, ქვეყნის წყლის რესურსების მდგომარეობა, ბუნებისა და გარემოს სანიტარული ნორმები და ა.შ.

პატრიარქის სააღმშენებლო ეკისტოლე - გამოუვალ მიტოვება არ არსებობს

(მესამე გვერდიდან)

შეიცნო, და კიდევ უარესი, — ბოლომდე შეურაცხყოფდა და დასცილდა მას. ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ მდგომარეობისაგან.

თუ ძეგლზედ გაკრული მეორე ავაზაკი სიმბოლოა მორწმუნე და მონაწილე საზოგადოებისა, ეს ავაზაკი სახეა ურწმუნო და უგულსისმბო, სინანულის არმქონე ხალხისა.

ჩვენ რომელ ავაზაკს ვგავართ? როგორი იქნება ჩვენი ჯვარი, — გადამრჩენელი, თუ წარმწყმედელი?

„ამქვეყნიური ჩვენი ყოფა ძარბას-ლას ჰბამს, სადაც ყველაფერი იწიღება, — წარან წინდა მამიძი, — წარუვალნი ბედნიერების შექმნა თუ მსურთ, წარავალი ღრობითი სიკეთენი უნდა დათმონ, რაღაზ იგი მხოლოდ ასეთი სავსურით მოიპოვება; მაგრამ თუ ამ შესაძლებლობას ახლა ხელიდან გაუშვებთ, მას საშუალოდ დასაბრავთ, რაღაზ ასეთი საშუალება აღარასოდეს გვექნება“.

როდესაც ვსაუბრობთ, რომ დროებითი სიკეთენი უნდა დაეთმოთ მარადიული ნეტარებისთვის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მორწმუნე ადამიანი (საერო თუ სასულიერო პირი) ამქვეყნიურ ცხოვრებას მუდმივ მწუხარებაში ატარებს, სულაც არა. ცოდვასთან და სხვადასხვა ბოროტებასთან სულიერი ბრძოლა თუ ხდება ლოცვითა და ღმერთზე მინდობით, უფალთან უხილავი, მაგრამ რეალური ისეთი კავშირი მყარდება, ისეთი სხვა განცდა შემოდის, რომ იგი თავისი სიძლიერით ფარავს ნებისმიერ ტკივილს. ამიტომაც ამბობენ, რომ ამგვარად მცხოვრებთათვის სამოთხე დედამიწიდან იწყება.

დაიბ, ადამიანი ბედნიერებისათვისაა შექმნილი და ამას ესწრაფვის იგი მაშინაც, როდესაც ვნებებს ემონება და მაშინაც, როდესაც ცოდვებს განემორება.

ვისაც ცოდვის მორავში ყოფნა მოსწონს და ამაში ჰპოვებს მხოლოდ სიამოვნებას, მისთვის გაუგებარი და მიუღებელია ის სიხარული და ნეტარება, რომელსაც ჯვარცმული იესო გვთავაზობს. მას სხვა პერაფრით დავაზარაბთ, გარდა ლოცვისა და ჩვენც ვიმოხრებით აღდგომილ მაცხოვრებს, ყველას გაუნათოს გული და გონება წარუვალი ბედნიერების შესაბრძნობად.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული ცხოვრება სერიოზული პრობლემების დაძლევის გულისხმობს. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ხშირად გვხვდება ცილისწამება, ღვარძლი, გაჭირვება, შური...და დგება ისეთი მომენტებიც, როცა ჩვენც აღმოგვხვდება: „მამაო ჩემო! თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი“ (მთ. 26,39), ანდა „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე“ (მთ. 27,46), მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი იმაზე დიდ ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტვირთაც არ ძალგვიძს. ამიტომაც, გაჭირვების უამს მასვე უნდა მივმართოთ, სულიერი ღვანლი განვადიეროთ და პრობლემები მალევე დაიძლევა.

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

ხოლო ის, ვინც სისუსტის, შიშის თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, რთულ სიტუაციას კი არ განერიდება, არამედ მარადიული ტანჯვის მორევში შედის. ამიტომაც, ვისაც ასეთი ფიქრები გაუჩნდება, მსწრაფლ უნდა მოიპოროს თავიდან, მოძღვართან მივიდეს აღსარება თქვას, რათა სულიერად განმტკიცდეს და ბოროტის მარნუხებისგან თავი დაიკავას.

სამწუხაროდ, კოლო დროს თვითმკვლელობის ფაქტები განსაკუთრებით გავრავდა გარდასავალი ასაკის ახალგაზრდებს შორის.

მათში ემოციური ფონი გააქივრებულია. ამათთან, ბარამოს შვიტომისა და ძიების პროცესი მიმდინარეობს, რასაც შვიტომება არასწორი მიმართულება მიეცა. ამიტომაც, ჩვენს მოგონებას და ვაჟებს ამ პერიოდში მოგვალეობისაგან მათი ყურადღება სჭირდებათ. მართალია, ეპრომიურბა გაჭირვება დიდს

და მამაც აიძულა, რომ ლუკმა-პურის საშოვნელად მთელი დღე სახლის გარეთ დაჰყო, მაგრამ შვიტომი მზრუნველობა უმთავრესია და აქ, რომორც ძალიან, ისა მამაპაპის, პასუხისმგებლობა თანაბარია.

მოზარდებისათვის ყურადღების მიქცევა მკაცრ მოპყრობას არ გულისხმობს. პირიქით, ეს ისეთი ასაკია, როდესაც თქვენ, მშობლები, მათ მეგობრად უნდა მოეცეთ, მეტი სითბო აჩვენოთ, დაინტერესდეთ მათი მიზნებით, ცხოვრების წესით, სამეგობრო წრით, რომ თანამდგომად მიგიღონ და გულახდილნი გახდნენ. ეს თქვენთვისაც აუცილებელია და მათთვისაც.

ამვე პირობები ქუჩის ბავშვების პრობლემას. ისინიც ჩვენი ხვალინდელი დღის შემომხმედნი იქნებიან და, გუნებრივად, მათად მინდობილნი, თუ რომორ პიროვნებად ჩამოყალიბებიან.

უკვე 21 წელია ამ მიმართულებით იღვწის ჩვენი ეკლესია; სათანადო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, ხელისუფლება ამ თემაზე კარგახანია სერიოზულად მუშაობს. ჩვენ მზად ვართ მომავალშიც, შესაძლებლობისამებრ, გვერდში დავუდგეთ მათ. უმეტესად ყურადღარჩენილი პატარები ქუჩაში არ უნდა ცხოვრობდნენ და ამას მალე უნდა მივალნიოთ.

ეკლესიას დიდი სურვილი აქვს, მზრუნველობა გაუწიოს იმ ახალგაზრდებს, რო-

ცოვილოს მოსახლეობის მოთხოვნილება და მის გატანაზეც იფიქროს. ამისთვის კი, უნდა გაძლიერდეს როგორც ოჯახური მეურნეობები და ნახალისდეს სხვა კერძო ინიციატივები; ადგილზე უნდა აშენდეს გადაამაშუავებელი მცირე სანარმოები, შეიქმნას მექანიზებული ჯგუფები, რომლებიც სოფლებს მოემსახურებიან.

სასურველი იქნება, თუ თითოეულ რეგიონს თანხის გარკვეული რაოდენობა გამოეყოფა და თავდაპირველად სახელმწიფოვე იზრუნებს გასაღებაზე ორიენტირებული და ამ მხარისათვის ყველაზე მომგებიანი მიმართულებების განვითარებაზე.

მოსახლეობას გიძვის და ორიენტაციის მიცემა სჭირდება, გონივრული დახმარება უნდა, რომ თავისი შრომის ნაყოფი დაინახოს და იბრძნოს, რომ მისი საქმიანობა შედეგის მომტანია. მაშინ ძველანა გალავნა დაიწყებს აღორძინებას და ხალხში შრომის სიყვარული აღდგება.

საყოველთაო ჯანდაცვა, მთის კანონი, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები იმაღლით განვითარდეს, თუმცა მათ მიერ განსახორციელებელი დახმარებების თაობაზე ხალხის ინფორმირებულობა გაცილებით უნდა იყოს, რომ მოსახლეობამ სრულად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები.

ჩვენთვის ამ ქვეყნად მოცემული სიცოცხლის დრო უდიდესი დატვირთვი-



მელთაც ასაკის გამო ბავშვთა სახლებში აღარ აჩერებენ, ნასასვლელიც არსად აქვთ და არც ცხოვრებისთვის არიან მომზადებულნი.

ჩვენ გამოვყავით როგორც ტერიტორია, ასევე შენობა და არასამთავრობო სექტორთან, ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიასთან თანამშრომლობით ვფიქრობთ, აქ დაგვეწყოს სახელმწიფო-პროფესიული სასწავლებლები, სადაც 18 წლის მოზონებსა და ვაჟების ბარკეპული რაოდენობა 23 წლამდე იცხოვრებს კიდევ და დამოუკიდებელი არსებობისთვისაც მოამზადება. ეს, რა თქმა უნდა, მეტად მცირეა იმ საქმესთან შედარებით, რაც გასაკეთებელია, როგორც ეკლესიის, ისე სახელმწიფოს მხრიდან.

მრავალ პრობლემას ეშვება, თუ მოსახლეობა დასაქმდება, თუ მცირე ბიზნესი განვითარდება და სოფლის მეურნეობა აღორძინდება.

ამტი ბასაძანი უნდა მიეცეს მინაქრის, ოძროსა და პერცხლის დაშუშავებას, მზისა და ქარის ენერჯის გამოყენებას, წყლის ექსპორტს, კერამიკის, შუშისა და თიხის წარმოებას, მცირე ჰესების მშენებლობას, ტურიზმს და სხვა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისთვის საქართველოს შემოაქვს სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების 80%; არადა ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად დააკმა-

იგი დღეს ერთ რამეს განადიდებს, ხვალ სხვას. განა ჩვენ მოწმენი არ ვართ იმისა, რომ რაც საზოგადოების ნაწილს 10-20-40 წლის წინ კარვად და მისაბაძად მიაჩნდა, დღეს მას დასცილს?! ასევე იქნება ცოტა ხნის შემდეგ იმ „ფასეულობების“ მიმართ, რასაც იგი დღეს ხოტბას ასხამს.

შენ იფიქრე მარადიულ ღირებულებებზე და ეცადე, შენი მეობა, შენი ღირსება არასოდეს დაკარგო. უფლის მცნებები იყოს შენი წარმმართველი. ეცადე შენი შესაძლებლობის მიხედვით მაქსიმუმი გაილო. ამასთან, ზომიერება შეინარჩუნე, გააკეთე ისე, რომ შენმა სწორმა ქმედებამ სიხარული მოგიტანოს და არა შფოთი და ასე, ნელ-ნელა განმტკიცდები სათნოებებში.

მიემსგავსე ლოტს, რომელიც ცხოვრობდა სოდომში, სადაც ყველა უკანონობას სჩადიოდა, მაგრამ იგი სხვებივით არ იქცეოდა, არამედ აკეთებდა იმას, რაც ღმერთისთვის სათნო იყო, ამიტომაც გადარჩა.

ისწავლე ლოცვა!

ლოცვა საუბარია ღმერთთან, გულსნაღვლის მის წინაშე განვანა, საკუთარი თავის მის შვილად შეცნობა და ღმერთის მადლისა და შენთვის მოპოვება; თუმცა სულიერი შრომა მარტო ლოცვას არ გულისხმობს. რომორც უკვე აღვნიშნეთ, ეს, რა თქმა უნდა, აბრამი, არის სწორი სულიერი აზროვნება და სულიერი ცხოვრება. ეს რომ ვიქცეოთ უფლის მხსნელ მარჯვენას ხელი უნდა ჩაგვიფიქროს და მასთან ვიყოთ განუყოფელი.

მაშ, არ შევეშინდეთ დაბრკოლებებს, არ შევეწყვიტოთ ბრძოლა განწმენისათვის და ვიცოდეთ, რომ როგორი დაცემულიც არ უნდა ვიყოთ, უფალს ვუყვარვართ და გველოდება, ელოდება ჩვენს სინანულს; ამიტომაც ბრძანებს: „არ მოვსულვარ მართალთა მოსანოდებლად, არამედ ცოდვილთა სინანულისთვის“ (მთ.9,13), „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ“ (მთ.11,28), „რამეთუ უღელი ჩემი ტკიბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“ (მთ. 11,30). ოღონდ ნაბიჯის გადადგმა არ გადავდოთ ხვალისათვის, რადგან ეს ხვალე შეიძლება აღარ დადგეს.

თითოეულ ჩვენგანს სასწაულომთქმელების უდიდესი უნარი გვაქვს; თუ ღმერთს მივახლოვებით და ცოდვებისაგან განვთავისუფლებით, ჩვენს სულში დიდი ცოდვილბის მომხრეობა გავხდებით. ამისი მაგალითი არიან წმინდანები. ისინიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, რომორც ჩვენ ყველა, მაგრამ სინანულით, აღსარებით, ზიარებით და სულიერი ღვაწლით ზეციურ სასუფეველს მიადგინეს. ამიტომაც წარს ნეტარი ავბუსტინე, წმინდანთა რიცხვი ყოველ ცოდვილთა რიგებიდან მრავალდება.

მაშ, შევიმოსოთ სიხარული, ქართველნი, აფხაზნი, ოსნი, ბერძენნი, რუსნი, უკრაინელები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომეხნი, ასირიელები, უდიდნი, ქისტნი, ჩეჩენნი, ლეკნი, ქურთნი, იეზიდნი და ყოველნი მკვიდრნი ივერიისა და უცხოეთში მცხოვრებნი თანამემამულენო!

მაცხოვარი დღეს იმედით აღავსებს მთელ სამყაროს; თითოეულმა ჩვენგანმაც ვიქონიოთ სასოება იმისა, რომ: „დამიხსნის მე უფალი ყოველი ბოროტი საქმისაგან და მაცხოვრებს მე თავის ზეციურ სასუფეველში“.

ქრისტე აღდგა!

აღდგეთ და ამიერიდან ჩვენც წარვიდეთ სიკვდილისაგან ცხოვრებად, წარვიდეთ ხრწნილებისაგან უხრწნელებად, ბნელისაგან ნათლად, მონებისაგან თავისუფლებად, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა, ამინ!

თქვენთვის მლოცველი ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თბილისი, აღდგომა ქრისტესი, 2016 წელი“

საა, რადგან ყოველი ადამიანისათვის ამ პერიოდში ხდება მარადიული ნეტარების მოპოვება ან დაკარგვა.

სწორად რომ ვიცხოვროთ, ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი შრომა უნდა შევეთავსოთ ერთმანეთს და ამასთან, უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ყოველ დროს თავისი მახასიათებელი აქვს. იგი ამა თუ იმ მიმართულებას ხელს უწყობს, ან უგულვებელყოფს. უნდა გავაცნობიეროთ, როგორია ჩვენი დროის შემოთავაზება, რომ ადვილად განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი ამ სამყაროში და ვუპასუხოთ მის გამოწვევებს.

თანამედროვეობამ „სიახლის“ სახელით წინ წამოსწია „მეს“ პრინციპი, გართობა, ბუნდოვანი აზროვნება, ვულგარული მეტყველება, აქცენტი ნაწილზე და არა მთელზე...ანუ ის, რასაც არა აქვს დიდი დატვირთვა და სიღრმე. სანაცვლოდ, დამამცირებლად წარმოაჩენენ ისეთ ცნებებს, როგორცაა ქვემოთაღებული, ღირსება, გონიერება, სამშობლო, მოყვასი და სხვა.

ასეთი ტენდენციები უნდა გავხრდეთ პიროვნებად კი არა, მასის ნაწილად აყალიბებას და საშუალო დონის, ყველაფრის შემავალი არსებობა აქცევს, რომელიც ცხოვრობს დღევანდელი დღით და მომავალი არ აინტერესებს.

შენ არ აწყვე ნუთისოფლის დინებას და მისგან შემოთავაზებულ განწყობას. ამა სოფლის სული არის სული სიცრუისა.

კანონი-ხარისხიანი სათესლე მასალისათვის

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ერთად აგრძელებს საქართველოში თესლისა და სარგავი მასალების სერტიფიცირების სისტემის დანერგვის-თვის საჭირო ღონისძიებებს.

აღნიშნული სისტემის შესახებ ინფორმაციის გასაცნობად სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თესლისა და სარგავი მასალის სტანდარტებისა და სერტიფიცირების სამსახურის უფროსი ნოდარ ხატიასვილი ხორბლის მწარმოებელ ფერმერებს დედოფლისწყაროში შეხვდა. შეხვედრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს კვლევითი ცენტრის სხდომათა დარბაზში გაიმართა. შეხვედრაზე ადგილობრივმა ფერმერებმა ინფორმაცია მიიღეს სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მალახვარისხიანი თესლის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებზე. სერტიფიცირების სისტემის დანერგვის მიზანია საქართველოში თესლისა და სარგავი მასალების წარმოების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ქართველ ფერმერებს ანარმონ ხარისხიანი პროდუქცია.

დანიტერესებულ ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ დარეგისტრირდნენ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. ცენტრის თანამშრომლები კონსულტაციას გაუწევენ და დაეხმარებიან, რომ მათი

პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იყოს წარმოებული. რაც შესაძლებლობას მისცემთ პროდუქციის რეალიზება მოახდინონ საქს-პორტო ბაზრებზე.

სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემის დანერგვა მიმდინარეობს პროგრამა „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება“-ის ფარგლებში, FAO-ს ტექნიკური მხარდაჭერითა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაფინანსებით.

ბელა თაძირაშვილი (ფერმერი): „დღეისთვის იმის შანსი გაჩნდა, რომ სახელმწიფოსგან კომპეტენტური რეკომენდაცია მივიღოთ რომელი ჯიში სად დავთესოთ და როდის აჯობებს. კვალიფიციურ კონსულტაციას გაგვინვენი კონკრეტულ ფართობზე, კლიმატური პირობების გათვალისწინებით რომელი ჯიში გაამართლებს და რომელ სახეობაზე ჯობია არჩევანი შევაჩეროთ. ამას გარდა, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია თავად მოიყვანოს სათესლე ხორბალი. ამას გარდა, აქამდე რეალიზაციის პრობლემა არსებობდა, ამჯერად კი კმაყოფილი ვართ რადგან სერტიფიცირებულ ხორბალს გაცილებით ადვილად გავყიდით და უფრო კარგ ფასად.“

ნოდარ ხატიასვილი: „ერთი წელია საქართველოში სატესტო რეჟიმში მიმდინარეობს მარცვლეული კულტურის სერტიფიცირების კულტურის დანერგვა. ამ მიზნით გავმართეთ შეხვედრა დედოფლისწყაროში და ადგილობრივებს და ფერმერებს მოსალოდნელი საკანონმდებლო ცვლილებები გავაცანით. მოგეხსენებათ, კანონ-პროექტი პარლამენტში შესული განსახილველად. კანონი დაარეგულირებს საქართველოში სერტიფიცირების სისტემის დანერგვას და ხარისხიანი სათესლე მასალის წარმოებას. საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები და კანონის მუხლები გავაცანით. მათ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ, მოგვმართონ და მათთან ერთად სატესტო რეჟიმში ვიმუშაოთ სერტიფიცირების პრობლემებზე, მათი პროდუქციის სერტიფიცირებაზე და მოვახდინოთ ახალი სისტემის აპრობაცია მათ ნაკვეთებში“.

მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის თანამშრომელთა მიერ, ხუთი რეგიონის (ქართლი, კახეთი, იმერეთი, რაჭა, სამცხე-ჯავახეთი) 11 მუნიციპალიტეტის (ამბროლაური, ახალქალაქი, ახალციხე, ადიგენი, ახმეტა, თელავი, დედოფლისწყარო, მცხეთა, სამტრედი, საგარეჯო, ხაშური) საცდელი ბაზის 27 ჰა ფართობზე განთავსებული თავთავიანი კულტურების სელექციური ცდები. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ძველი ქართული ხორბლის ჯიშთაგანსა და ელიტური თესლის წარმოებას ახორციელებს. რადგან, საქართველო ხასიათდება ნიადაგურ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნებით, თითოეული ზონისთვის უნდა შეირჩეს ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული კულტურა და ჯიში და დადგინდეს მათი აგროსამრეწველო სისტემაში მოყვანის მიზანშეწონილობა.



სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ელიტური სათესლე მასალის მიღების მიზნით, დათესილია საწარმოო (ვარძია, საული 9, ლომთაგორა-123, ტანია), ისტორიული ქართული (ახალციხის წითელი დოლი, თეთრი დიკა, შავფხა) და ჭვავის ჯიშების პირველადი მეთესლეობის საწარმოები.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან (CIMMYT-ICARDA) თანამშრომლობით ინტროდუქცირებული და საერთაშორისო საწარმოებიდან გამორჩეული პერსპექტიული ფორმებით ხდება საწარმოო ჯიშების მალაპროდუქტიული, დაავადებებისადმი გამძლე და გარემოსტრესების ამტანი ახალი ჯიშებით ჩააცვლება (ჯიშთმონაცვლეობა). დღეისათვის საქართველოში დარეგისტრირებულია საწარმოებიდან გამორჩეული მალაპროდუქტიული და ხარისხიანი რბილი ხორბლის 5 ჯიში, რომელიც გავრცელებულია საქართველოს ხორბლის მთესველ ყველა რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ საქართველო მსოფლიოში ხორბლის წარმოების პირველად კერადაა აღიარებული და 27 სახეობიდან ჩვენთან აღწერილია 14, მათგან 5 ენდემურია.

ილია მარტყოფილი



ისინი ქმნიან ისტორიას...

„საუკუნეების მანძილზე კახეთმა და მისმა მოსახლეობამ უთვალავი გასაჭირი გამოიარეს, ათასი ჯურის ურიცხვი მტერი მოიგერიეს, გადამთიელთაგან დიდი ხნით არავის მოაკიდებინეს ფეხი წინაპართა სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწაზე. გადიოდა წლები, საუკუნეები, იცვლებოდა ისტორიული ვითარება, წყობილება, მამულიშვილობის, ადამიანური ღირსების საზომი კი კახეთის მკვიდრთათვის უცვლელი რჩებოდა-სამშობლოს ერთგულება, ქვეყნის მსახურება, მიწის სიყვარული, ვაზის მოვლა, სიკეთის უხმაუროდ თესვა, წინაპართა ნაანდერძების ერთგულება...“

ნიგნში თავმოყრილი ნარკვევების გმირები ღირსეულად აგრძელებენ წინაპართა ნაანდერძებს-საკუთარი შრომა-გარჯით, ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობით საკუთარი წვლილი შეაქვთ სამშობლო ქვეყნის ბედნიერი მომავლის შენებაში, მის

გაძლიერება-აყვავებაში. ნიგნზე მომუშავე ჯგუფის მიზანი საზოგადოებისთვის იმ ადამიანების დღემდე გამოვლილი ცხოვრების გზის, ნაღვან-ნამუშავეების გაცნობა იყო, რომლებმაც საქმიანობა-მოღვაწეობისთვის არჩეულ სფეროში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, საკუთარი წვლილი შეიტანეს და დღესაც შეაქვთ წილი სამშობლოს წინსვლა-აყვავების საქმეში და საზოგადოების, ხალხის მადლიერება, აღიარება და პატივისცემა დაიმსახურეს. იმედს ვიტოვებთ, რომ თუმცა კი ნიგნში წარმოდგენილი ნარკვევები სრულად ვერ წარმოაჩენს მათი გმირების პიროვნულ პორტრეტს თუ მათ დამსახურებასა და ღვაწლს, ასე თუ ისე ჩვენ მაინც მოვახერხებთ მკითხველისთვის გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა საზოგადოების მიერ ღირსეულ და პატივსაცემად აღიარებულ პიროვნებებზე, მათ ღვაწლზე,

მათ მიერ სამომავლოდ ჩაფიქრებულ-დასახულზე, მრავალთათვის მისაბამ მათ ადამიანურ ღირსებებზე და სამშობლოს სამსახურად მზადყოფნაზე“-წერს ნიგნის წინასიტყვაობაში მანანა გელაშვილი. ნიგნი მოუთხრობს მკითხველს იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც თავიანთ სფეროში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, ბევრმა მათგანმა კი ქვეყნის გარეთაც გაიტანა მშობლიური ქვეყნისა და დედოფლისწყაროს სახელი.

ნიგნის „ისინი ქმნიან ისტორიას“ პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ გაიმართა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ნიგნის იდეა ეკუთვნის ნელი გობეჯიშვილს, ტექნიკური რედაქტორი კი ასევე ჩვენი თანამემამულე, წარმატებული გამომცემელი ოთარ კვიციანი ვილია. ვის არ შეხვდებით აქ: მასწავლებლებს, ექიმებს, მწერლებს, მეცნიერებს, სპორტსმენებს, ფერმერებს, ბიზნესისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს. მრავალფეროვანია ნიგნის გმირების პროფესიებიც და მათი ცხოვრებაც, მათი მსოფლმხედველობა...

ნელი გობეჯიშვილი: „წინამდებარე ნიგნი იმ ადამიანთა მონდომებითა და ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა, ვისაც მიაჩნია, რომ მასში წარმოდგენილი პიროვნებების შრომა-საქმიანობა, მოქმედა წინაშე დამსახურების, მათ მიერ ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში, ეკონომიკურ გაძლიერებაში,

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში შეტანილი წვლილის შესახებ საზოგადოებისთვის საცნაური უნდა იყოს. იმის განსჯა, თუ რამდენად მივალნიეთ მიზანს, თქვენთვის მოგვიწევია, ძვირფასო მკითხველო“...

მაყვალა გონაშვილი, პოეტი: „ყველა ადამიანი სათვის სამშობლო აკვნიდან იწყება და ალბათ, ყველა იმ დედოფლისწყაროელისთვის, ვინც ამ ნიგნშია შესული, ისეთი განცდა აქვს, რომ თავის მარადიულ სამშობლოში გაერთიანდნენ. ძალიან კარგი და საჭირო ნიგნია, ყველა კუთხეს აინტერესებს, როგორი შვილები ჰყავს და ვინ ასახელებს ისინი. საბედნიეროდ, ჩვენი რაიონი საკმაოდ მდიდარია ასეთი ადამიანებით“.

ლადო ათანელი, საოპერო მომღერალი: „დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ნელი გობეჯიშვილს ამ საშვილიშვილო საქმისთვის, იმისთვის, რომ გამოსცა ასეთი კარგი ნიგნი და წარმოაჩინა კახეთის შვილები,

ნელი გობეჯიშვილი

ისინი ქმნიან ისტორიას

ვინც სახელი გაუთქვა ჩვენს კუთხეს. დიდი საქმეა, ასეთი ლამაზი საჩუქარი გაუკეთო შენს კუთხეს და დაუტოვო მთამომავლობას“.

ნიგნის პრეზენტაციამ საკმაოდ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა და ნიგნის ავტორებსა და გმირებს კიდევ ერთხელ მიეცათ საშუალება, მოფერებოდნენ ერთმანეთს და მშობლიურ დედოფლისწყაროს.



გამარჯვებულები გამოვლინდნენ

დასრულდა კონკურსი, რომელიც წმინდა თამარ მეფის მოღვაწეობას ეძღვნებოდა. კონკურსში მონაწილეობა ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს შეეძლოთ. კონკურსის ორგანიზატორის, ასოციაცია „დედოფლისწყაროს“ დახმარებით, მოსწავლეებს უნდა წარმოედგინათ თემში თამარ მეფის მოღვაწეობის შესახებ.

გამარჯვებული ექვსი თემის ავტორს სამახსოვრო პრიზები „დედოფლისწყაროს ქალების“ ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა ლალი მებრიძელმა 21 აპრილს გადასცა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 17-მა კონკურსანტმა, მათგან გამარჯვებული გახდა ექვსი საკონკურსო თემა და მათი ავტორები, დაჯილდოვდნენ მოსწავლეები:

სოფელი ზემო მარხანი - გიორგი ცხელიძე (პედაგოგი ნანა ჯავახიშვილი);

სოფელი ოზანი - სალომე თარგვიანი (პედაგოგი ელისაბედ შიუკაშვილი);

სოფელი სამრეკლო - ნათია პაპაშვილი (პედაგოგი ეკატერინე ჯავახიშვილი);

სოფელი სამრეკლო - მანა ზურაბიანი (პედაგოგი ეკატერინე ჯავახიშვილი);

სოფელი სამრეკლო - თამარ ჯამბურაძე (პედაგოგი ეკატერინე ჯავახიშვილი);

სოფელი არხლოსკალი - გიორგი შაშაშვილი, გიორგი მისაშვილი და მანა არაბული (პედაგოგი ფატი ამირიძე).

შეხვედრას „დედოფლისწყაროს ქალების“ წევრებთან ერთად რესურსცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

თამარ მეფის წლად გამოაცხადა. „დედოფლისწყაროს“ ქალების მიერ დაარსებული საჯარო სკოლის ფუნდირება, ქართველებს შორის ნასვლა არ გვეჩვენება, ვინაიდან ჩვენ ზურგს გვიმაგრებს თამარ მეფის სახელი, რომელმაც მე-12 საუკუნეში დაამტკიცა ქართული ქართული ქალის არსებობა. როგორც უნდა იყოს ქართველი ქალი, ამაზეც ბევრს საუბრობენ, დაუფიქრებლად თამარს, დღეს რომ საუბრობენ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე და ივნივებენ ტრადიციას, რომ ქალი დიხასაც ერთ საფეხურით დაბლა უნდა ყოფილიყო მამაკაცზე, თამარი იყო ტრადიციების მიმდევარი ქალი, მიუხედავად იმისა, რომ მეფე იყო, მას თავისი თავმდაბლობა სულაც არ ამცირებდა, პირიქით უფრო აძლიერებდა და ასეთი მეფე ქალი ბევრად უფრო მეტად უყვარდა ხალხს, მან ბევრად შეძლო თავისი თავმდაბლობით და მოთმინებით ისეთი დიდგვაროვნების შემორიგება, რომლებიც თამარის წინააღმდეგ ამბობდნენ აპირებდნენ და ბოლოს, თამარი ამ საქციელით ყველაზე მეტად უფალს უყვარდა! დიდი ივანე ჯავახიშვილი, როდესაც თამარის მოღვაწეობას აწვამებს, აღნიშნავს: ქართველი ერისთვის მაშინაც და შემდეგაც, თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ, „ხესთაბუნებრივის ძა-

ლით მასში გაერთიანებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოველად მონყალე, განურისხებელი გული“. მე პირადად სამართლიანად მიმაჩნია, რომ ქართველი ქალის სახე ქართველმა ქალებმა თამარ მეფეში უნდა ვეძიოთ, მის თავმდაბლობაში, მის მოთმინებაში. 2016 წელი საქართველოს პატრიარქმა თამარ მეფის წლად გამოაცხადა, ამიტომაც ორგანიზაცია „დედოფლისწყაროს ქალებმა“ გადაწყვიტეთ, ამ თემაზე კონკურსი გამოგვეცხადებინა. დღეს გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ, მომავალში კიდევ მრავალ ღონისძიებას ვეგეგმავთ, რაც ქალის თემს კიდევ ერთხელ წინ წამოსწევს.“-აღნიშნა ჩვენთან საუბარში „დედოფლისწყაროს ქალების“ ხელმძღვანელმა ლალი მებრიძელმა.

დაჯილდოვების ცერემონიას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ეთერ დავითაშვილი, ისტორიკოსი და დედოფლისწყაროს საპატრიარქო მოქალაქე ნანული ნატროშვილი, საკრებულოს წევრი ლიკა ნატროშვილი, გამგეობის წარმომადგენლები ანა კიკილაძე და მარი მგალობლიძე. ღონისძიებაზე ოთარ ჭილაძის ლექსი „თამარ მეფის საფლავი“ ნაიკითხა ოზანის მოსწავლემ სალომე თარგვიანმა, ხოლო თამარ ჯეითერიძელმა ფანდურზე სიმღერა შემოგვთავაზა. სიტყვით გამოვიდნენ მონაწილე ბავშვები და პედაგოგები, ასევე დამსწრე საზოგადოება. შეხვედრის დასასრული აღნიშნა ალა-ფურშეთი და გაიჭრა თამარ მეფის გვირგვინით მორთული ტორტი.



ლილი მარტყოფლიშვილი



აღნიშნული კონკურსის ჩატარება ორგანიზატორებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 2016 წელი

პირველი ნაბიჯი

27 აპრილს დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში ამავე სკოლის 2^ე კლასის მოსწავლის ნიკოლოზ სეფიაშვილის ნახატების პერსონალური გამოფენა მოეწყო, რომელსაც ძირითადად მისივე თანატოლები, პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ. აბსტრაქტული ნამუშევრები წყლის ცხენები, დინოზავრები და ქალთევზები, ნატურმორტები, ყვავილები, ლარნაკები და ყოველდღიური კვების პროდუქტები ჩვენს რეალობაში, ასეთი გახლდათ ნიკოლოზის ნამუშევრები. გამოფენა სკოლის ფოიეში გაიმართა, სადაც მას შემდეგ ნახატებთან ერთად პატარა მხატვრის მიერ ვიოლინოზე შესრულებულ მელიორებისაც ისმენდა. გამოფენით კმაყოფილე-

ბას გამოხატავდნენ ნიკოლოზის პედაგოგები, ქალბატონი მარინე ინასარიძე, ზეინაბ პოპიაშვილი და ხელოვნების პედაგოგი ირინა იაკობიძე, რომლის უშუალო ინიციატივითაც ეს გამოფენა გაიმართა. აქვე გახლდათ მაგდა, სადაც ნიკოლოზმა ექსპრომტად დახატა, ნახატი ფანქრის მონახებით გააკეთა და ის საბოლოო ჯამში უცხო ცხოველს დაესვა. ნიკოლოზი გახლდათ დედის თემა პატარა მხატვრის ნამუშევრებში, რომელსაც კვლავ ქალთევზას სახე ჰქონდა.

„25 წელი ვასწავლი ბავშვებს და ამ ხნის მანძილზე ძალიან ბევრი ნიჭიერი მოსწავლე მყოლია, თუნდაც ამ კლასში, რომლებსაც აქვთ ხელის მოტორიკა და მუხდლიათ ხატვა, მაგრამ ნიკაში დავი-

ნახე სულ სხვა რამ, ეს არ არის გარედან შეძენილი ცოდნა, ეს არის შიგნიდან წამოსული ფანტაზია, ნახატებში ჩანს, რომ მას თავისი სამყარო აქვს. პირველივე კლასში მქონდა სურვილი, რომ გამეკეთებინა გამოფენა. ნიკოლოზში არის ის პოტენციალი, რომ ის შეიძლება გახდეს დიდი მხატვარი. სწორედ ამან განაპირობა, რომ მისი მეგობრების დახმარებით გაეკეთეთ მისი პირველი პერსონალური გამოფენა და დღეს ჩვენ ამის მომსწრე ვართ.“-აღნიშნა ჩვენთან საუბარში ხელოვნების პედაგოგმა ირინა იაკობიძემ.

„ნიკოლოზი თავიდანვე გამოიჩინა თავისი ინდივიდუალიზმით, მონესრიგებული და განსხვავებული ბავშვია, აქვს განსხვავებული ხედვა და ფანტაზიის

უნარი. შეიმჩნევა ისიც, რომ ორი ქვეყნის კულტურა მასში გაჯერებული: ბერძნული და ქართული, რომელიც გადანიშნის, არ ვიცი, თუმცა ის ცდილობს, ყველაფერში გამოიჩინოს და მონესრიგებული იყოს, არის მუდმივ ძიებაში, რათა ადგილი დაიკვიდროს თანატოლებს შორის“-განაცხადა მარინე ინასარიძემ.

„დედოფლისწყაროს ქალების გამოფენა მოეწყო და გახარებული ვარ. აქ ძირითადად ჩემი ერთი წლის ნამუშევრებია წარმოდგენილი, ხატვა ძალიან მიყვარს და მინდა მხატვარი გამოვიდე, თუმცა, ვერ კიდევ კარგად არ მაქვს გადამწყვეტილი, რა პროფესიას ავირჩევ საბოლოოდ. მუსიკაც ძალიან მიყვარს. ნახატების საფუძველს ჩემი სიზმრები და მულტიკომები მაძლევს, ზოგჯერ

შეიძლება კომპიუტერიდანაც გადავხატო, ზღაპრებს რაც მეჩვენება, არ მიყვარს. ისე, ხშირად სიზმრებიდანაც ვიყვან პერსონაჟებს, სიზმრებს სულ სამომცხვრებზე ვნახულობ და ღამე მათთან ერთად ვმობავარობ, ამიტომაც დაიბადა ჩემს ნახატებში წყლის ცხენი და გველუშები. მომავალში კიდევ ბევრი რამის დახატვას ვაპირებ. ამ დღეებში საბურთაში მივმგზავრები, იქ ახალ შთაბეჭდილებებს შევიძენ და ახალი იდეებიც მომივა.“

წარმატებები ნიკოლოზს, კვლავ და კვლავ წინსვლას, შემოქმედებით წვას და მრავალფეროვანი ფერითა გაპიტი განათებული და მოხატული ყოფილიყოს მისი ცხოვრების სავალი გზა.

ლალი მებრიძე

მომავალი პროფესიების გაცნობიერება სკოლაგდელი ასაკიდან...

გაზაფხულის ერთ-ერთი ულამაზესი დღე, 26 აპრილი შეარჩია N2 საბავშვო ბაგა-ბაღში შემავალი ღონისძიებისთვის 3-4 წლიანთა ჯგუფის პედაგოგმა ქეთი გიგოლაშვილმა თანამემსწრე ეკა გიგაურთან და მუსიკის მასწავლებელ ანა ლაპიაშვილთან ერთად, რათა ულამაზესი სანახაობით დახვედროდნენ მინერვულ სტუმრებს.

„პროფესიები“-ასე ეწოდებოდა ბავშვების მიერ დადგმულ ღონისძიებას, რომელმაც სასიამოვნო შთაბეჭდილებები დაუტოვა მასწავლებლებს. აქ თითქმის ყველა პროფესიის ადამიანი იყო წარმოდგენილი ბავშვების მიერ მძღოლი, მშენებელი, სტილის-

ტი, მკერავ-დინინერი, მხატვარი, მზარეული,სპორტსმენი, მასწავლებელი, ექიმი, ჟურნალისტი. 28 აღსაზრდელის განსახიერებულმა სხვადასხვა პროფესიებმა ჩვენს თვალში კიდევ ერთხელ სულ სხვა ელფერი შეიძინა და უფრო მეტად შეგავყვარა თითოეული პროფესია, კიდევ ერთხელ დავაფიქრა მათ მნიშვნელობაზე... აირჩიევენ თუ არა ეს პატარები ამ პროფესიებს, ეს მომავლის საკითხია, მაგრამ დღეს ქეთინო მასწავლებელმა საძირკველი უკვე ჩაუყარა იმას, რომ თითოეულ მათგანს აუცილებლად ესაჭიროება ზრდასრულ ასაკში მინიმუმ ერთი პროფესია და მათ მიერ არჩეული საქმის

სიყვარულსა და პატივისცემაზე იზრუნა.

მძღოლმა რომ მგზავრის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს, თანაგუფელებს ომხიანად შეახსენებენ დაჩი და ნიკა, მშენებლის უდიდეს პასუხიმგებლობაზე სამი აღსაზრდელი რიგ-რიგობით გვეტყვის ლექსს, სტილისტიები ნატალი და მარიამი მინი სალონს აწყობენ დარბაზში და მეგობრებს თმის „შეჭრა“-დავარცხნაში ეხმარებიან,იქვეა ნემსი, სათით, ძაფი, თარგი,მაკრატელი და სწრაფად და ხარისხიანად ულამაზესი ტანსაცმელი „იკერება“, მხატვარი ხატავს, მზარეული სწორი კვებისთვის განკუთვნილ გემრიელ კერძებს „გვიმზადებს“, იოანე სპორტის ჯანმრთელობისათვის აუცილებლობაში გვარწმუნებს და განტლებების ანევიტ ლამაზ სანახაობას დგამს...აქვეა ნატალი ექიმიც, რომელსაც ასაკის შესაბამისად აქვს გაცნობიერებული ექიმის პასუხისმგებლობის ხარისხი და ცდილობს, უფრო „დამაჯერებლად“ წარსდგეს მასწავლებლის წინაშე, პატარა დაჩი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქვეყანას უპირველესად მშვიდობა სჭირდება და მის სადარაჯოზე მდგომი



გამოცდილი ჯარი და პოლიცია. დასასრულს პატარა ჟურნალისტი ლიზი სიურპრიზი მოუტოვებს მათ, მოულოდნელად „პირდაპირ ეთერში“ ჩართო და რამოდენიმე კითხვა დაუსვა... გაუხარდა, გაოცდა, მაგრამ არ დაიბნა ქ-ნი მანანაც და პატარა რესპოდენტს მისთვის სასურველ კითხვებზე სასურველი პასუხები გასცა. ამ ბოლო აკორდმა უფრო მეტად გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება და ვოკალურად და ქორეოგრაფიულად გაფორმებული ულამაზესი ღონისძიებაც დასრულდა, თუმცა, მან ასეთივე ულამაზესი კვალი დაუტოვა ჩვენს

პატარა აღსაზრდელს. ღონისძიების დასასრულს სკოლაგდელი სააღმრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილემ ქ-ნმა ციკლიკოშვილს, მოულოდნელად „პირდაპირ ეთერში“ ჩართო და რამოდენიმე კითხვა დაუსვა... გაუხარდა, გაოცდა, მაგრამ არ დაიბნა ქ-ნი მანანაც და პატარა რესპოდენტს მისთვის სასურველ კითხვებზე სასურველი პასუხები გასცა. ამ ბოლო აკორდმა უფრო მეტად გაამხიარულა დამსწრე საზოგადოება და ვოკალურად და ქორეოგრაფიულად გაფორმებული ულამაზესი ღონისძიებაც დასრულდა, თუმცა, მან ასეთივე ულამაზესი კვალი დაუტოვა ჩვენს

ელზა ხარაშვილი



ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულ ლევან როსტოშვილსა და ლაშა კურტანიძეს 8-დან 20-წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

ნარკოდანაშაულისთვის დაკავებულ სპორტსმენსა და ყოფილ ტელეწამყვან ლევან როსტოშვილს, ასევე მსახიობ ლაშა კურტანიძეს 8-დან 20-წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუ-

ქრება. აღნიშნულ სასჯელს ის მუხლი ითვალისწინებს, რომლითაც სამართალდამცველებმა ლევან როსტოშვილი დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე

მუხლის მე- ნაწილით მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებას,

ნარმოებას, შექმნას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს.



მკვლელობა სიღნაღში — 58 წლის ქალი გარეშობიდან გაიტაცეს და მოკლეს

სიღნაღის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომელი, 58 წლის ელზა გელაშვილი მოკლული იპოვეს. ქალს 2 დღის განმავლობაში ეძებდნენ. ის 4 მაისს, დაახლოებით 13:00 საათისთვის წნორის ცენტრიდან დაიკარგა. პოლიციამ განზრახ მკვლელობის ბრალდებით წარსულში მძიმე დანაშაულისთვის წასამართლელი მამაკაცი დააკავა, რომელიც სიღნაღის რაიონის მაცხოვრებელია.

მარინე შაიშველაშვილი, ელზა გელაშვილის ნათესავი. „პოლიცია სამი საათის განმავლობაში გვეკითხებოდა. როცა გამოგვიძვეს და სიღნაღში ამოვედით, ოჯახის ახლობელმა ბიჭებმა ძებნა ჯგუფ - ჯგუფად განაგრძეს. იმ ტერიტორიაზე ეძებდნენ, საიდანაც გაუჩინარდა. პოლიციაში გვიტოხრეს ჩვენც მოვებენითო, მაგრამ ძებნა არ დაუწყიათ, ჩვენ არსად შეგვხვდნენ. მოგვიანებით, ჩვენმა ბიჭებმა ძებნის შედეგად ქალის ტუფლი იპოვეს, ვნახეთ და დავადასტურეთ, რომ ეს ელზას ფეხსაცმელი იყო, რომელიც იმ დღეს ეცვა, როცა დაიკარგა“, - გვითხრა ელენოზრა გელაშვილმა.

„პირველი აღმოფოტება რაც იყო, ქალის ერთი ფეხსაცმელი იყო ნაპოვნი და პოლიციაში აცხადებდნენ, ვიდრე სამი დღეა არ გავა, ჩვენ საქმეს არ აღვძრავთ და ძებნას არ დავინწყებთ“, - აღნიშნავს თენგიზ ბუჟაშვილი. ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ შინაგან საქმეთა სა-

5 მაისს, ელზა გელაშვილის ოჯახის წევრებისთვის ცნობილი გახდა, რომ 4 მაისს, შუადღეს, ის „მარშუტაკში“ შენიშნეს. „გავიგეთ, რომ იქ სადაც ტუფლი აღმოვაჩინეთ, მარშუტაკამ მოძრაობის ნესების დარღვევით გადაუხვია და კინაღამ დაეჯახა მსუბუქ მანქანას, რომელსაც ქალი მართავდა. ამ ქალმა შენიშნა, რომ შავგერმან გამხდარ ქალბატონს ეჭიდავებოდა ვინაც მძღოლის მიმართულებიდან, ქალბატონი კი მარშუტაკიდან გადმოსვლას ცდილობდა. ეს ინფორმაცია მოგვიანებით მოგვინოდეს“, - ამბობს მარინე შაიშველაშვილი.

ელზა გელაშვილის ცხედარი 6 მაისს, გამთენიისას, წნორიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ერისიძის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. ექსპერტების მიერ გარეგნული დათვალიერებით, მას ქვა აქვს ჩარტყმული და ისეა მოკლული. „დასახლებულ პუნქტში, დღისით, მზისით, გაჩერებიდან აიყვანონ ქალი, მოიტაცონ, მერე მოკლან და გადაადონ. ასეთი რამე მე არ მახსოვს ამდენი წელია ადვოკატად ვმუშაობ“, - ამბობს თენგიზ ბუჟაშვილი.



4 მაისს, ვიდრე დაიკარგებოდა, ელზა გელაშვილი წნორში, ცენტრალურ ქუჩაზე, ჯერ გაჩერებულ, შემდეგ კი „მარშუტაკში“ შენიშნეს.

„პირველი საათისთვის გამოსულა სამსახურიდან. წნორში, ცენტრალურ გზაზე, გაჩერებულ მდგარა დაახლოებით 1:30-დან 14:00 საათამდე პერიოდში. ერთ-ერთი ტაქსის მძღოლმა, მეზობელმა დააფიქსირა. 15 წუთში რომ გამოვიარე, ვიფიქრე სახლში წავიყვანო, აღარ დახვდა იქ. საღამოს ახლობლებმა ძებნა დაიწყეს. რომ დაღამდა და კიდევ არ გამოჩნდა, მერე პოლიციაში განვაცხადეთ“, - ამბობს

მინისტროში. სამინისტროს ინფორმაციით, ელზა გელაშვილის გაუჩინარებასთან დაკავშირებით გამოძიება და სამძებრო სამუშაოები იმავე საღამოს დაიწყო, როცა ოჯახის წევრებმა ქალის დაკარგვაზე პოლიციას აცნობეს.

ახლობლები ვარაუდობდნენ, რომ ელზა გელაშვილი შესაძლოა ყაჩაღობის მიზნით გაიტაცეს. ამ ვარაუდს მათ ის უწყობდა, რომ ელზა გელაშვილი ბანკიდან სესხის აღებას ან განვადების გაკეთებას აპირებდა წყლის გამათბობლის შესაძენად. როგორც გავარკვეეთ, დაკარგვის მომენტისთვის ელზა გელაშვილს ბანკიდან თანხა არ აუღია, რადგან სესხი განხილვის პროცესში იყო.

ელზა გელაშვილის განზრახ მკვლელობის ბრალდებით ამავე რაიონში მცხოვრები, მასზე ასაკით უმცროსი მამაკაცია დაკავებული, რომელიც წარსულში მძიმე დანაშაულისთვის არის წასამართლელი. წინასწარი ინფორმაციით, დაკავებული დანაშაულს აღიარებს, თუმცა მკვლელობის მოტივი ამ ეტაპზე უცნობია. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ს ს შ ა

ეთერ ზაზიაშვილი-ტოკლიკიშვილი



გაგვიხანგრძლევიანა და სიკვდილი დაგვემარცხებინა, ამაო გამოდგა. 44 წლის ასაკში ნახვედი და მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე. სრულიად ახალგაზრდამ, თითქმის ბავშვმა, შექმენი ოჯახი. ჩვენ ორივე ობლები და უსახსრონი ვიყავით, ერთმანეთს სიყვარულით დაუკავშირეთ ცხოვრების გზა და მერე თავდაუზოგავად ვმრობოდით, რათა ღირსეული ოჯახი გვექონოდა, ასეც მოხდა. ოცდაათი წელი ვედექით ერთმანეთს მხარში - მე კოლმეურნეობაში ზოოტექნიკოსად ვმუშაობდი, შენ საბავშვო ბაღის მომმარაგებელი იყავი. ნოლიდან დაწყებული ოჯახი გავადიერეთ, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი გავზარდეთ, სამივეს - გიორგის, შორენას და დავითს უმაღლესი განათლება მივალდებინეთ, დავაოჯახეთ. შენ თავდადებული დედა და ოჯახის ბურჯი იყავ. საკუთარი თავი არასოდეს გახსოვდა, ამიტომ იყო, რომ ავადმყოფობა უკვე იმ ფაზაში აღმოჩნდა, შეგლა ვეღარ შევძელით. შენმა სიკვდილმა გამანადგურა, სევდამ და ტკივილმა დამიმორჩილა, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა, ძალიან გამიჭირდა ამ გადანწყვეტოლების მიღება, მაგრამ შვილების

და ახლობლების დაჟინებული თხოვნით, მეორე ოჯახი შევექმენი და ძველი ანაგიდან საცხოვრებლად ოზანში გადმოვედი. კეთილშობილი ქალია ჩემი მეუღლე ლალი ნადირაშვილი. ის ჩვენს შვილებს და რვა შვილიშვილს სიყვარულით და პატივისცემით ეყარობა. კარგი მეუღრეები დადგენ ჩვენი შვილები, ძლიერი ოჯახები აქვთ, არაფერი უჭირთ, შენ რომ იამაყებდი და გაგიხარებოდა, ისეთები არიან. გვიჭირს უშენობა, მაგრამ ცხოვრებას ვაგრძელებთ, თუმცა მონატრების მძაფრი სურვილი არ გვტოვებს. 6 მაისსაც, შენი დაბადების საიუბილეო დღეს,

ყველამ თავი მოვიყარეთ შენს საფლავზე, პატივი მივაგეთ შენს სსოვნას, რომელსაც დავინწყება არ უნერია. ჩემს გულში სამუდამოდ არის აღბეჭდილი შენი სიყვარული და პატივიცემა, ჩემო ძვირფასო. ჩემი შვილების ერთგულო დედა და ჩემი ახალგაზრდობის ნათელი სვეტო. იძინე მშვიდად, 16 წელი გავიდა, მაგრამ შენი დაბადების და გარდაცვალების თარიღის აღნიშვნა არასდროს გამოგვიტოვებია და ასე იქნება მომავალშიც. ღმერთს ებარებოდე შენ მანდა ჩვენ -აქ.

მეუღლე
ზიზიკო ზაზიაშვილი

ლევან გოგილაშვილი



ჩამოჯდები, გადმოშედეგე მინარეს, ღამის შიში ჩემში ისევ მძვინვარებს, მაგრამ ვიცი, რომ სიზმარში შევხვდებით, ჩემთან ერთად უოფნას შეგვედრები. მომცემ რჩევას, დამარეგებს, შემაქვს, მოგიყვები რა სდება ღრუბელს აქეთ, შემდეგ ისევ შუბლზე ნაზად მაკოცებს, უღარდელი ღიმილით გააბოცებს, ხელს გამიშვებს და ღრუბელს შეერევი ცრემლებს მარტო უკვე ვეღარ ვერევი. გავიღვიძებ, საესე მთვარეს გაეხედავ, წარმოვიდგენ, მის მაგივრად შენ გხედავ, ერთ დღეს მაინც ვეველა დავისოცებით მიღლი არა, მერე მართლა შევხვდებით.

სიყვარულით, შენი დისშვილი -
სალომე ზურაშვილი.

ვაჟა ზოსტაშვილი



უშენოდ მოვიდა კიდევ მეორე აღდგომა და მეორე გიორგობა. შენ ხომ გიორგობის დღეს, 6 მაისს გაეყარე შენს ოჯახს და გადაინაცვლე ცათა სასუფეველში, სადაც განისვენებენ შენსავით კეთილი, მშრომელი, ოჯახზე და შვილებზე შეყვარებული ადამიანები. ძალიან გვატკინე გული მთელს შენს საახლობლოს, შენს სანათესაოს, ძალიან განვიცდიდი უშენობას. მარტო წარსულში ვალაპარაკობ შენზე. მარტო სურათით გიცნობენ შენი შვილიშვილები - კუ-

დრაჭა ელენა და ცელქი ლუკა და იძახიან: ეს ვაჟა პაპააო. მეცხრე ცაზე ახვიდლოდი მათი შემხედვარე სიხარულისგან. გიორგობას ორი წელი გისრულდება, რაც ამ ქვეყნიდან ნახვედი. მოვალთ შენს საფლავზე, ავინთებთ სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ შენს სპეტაკ სულს. იძინე მშვიდად და იქიდან ილოცე შენი ოჯახისთვის, ახლობლებისთვის და მათთვის, ვისაც ახსოვხარ და ვინც ყოველთვის გისხენებს. სანამ ცოცხლები ვართ

შენს სახელს დავინწყება არ უნერია.
შენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და რძლები.

მონატრება ზატარა გულის მიამიძებს, სვალაც აღბათ ასე ძლიერ იწვიებს, აღბათ მოხვალ ამდამ ჩემს სასთუშაღთან, მარტო არა, შენ იქნები უფალთან.

უკველესი სამარხები ივრის ზეგანზე

დედოფლისწყაროს რაიონში, ივრის ზეგანზე, მოლაშქრე-ეკსტრემალმა თეიმურაზ ზაზიევმა უძველესი სამარხებს მიაკვლია. როგორც ზაზიევმა განაცხადა, ივრის ზეგანზე უძველესი ცივილიზაციის არსებობაზე ინფორმაცია ადრეც ჰქონდა, თუმცა ყუთის ტიპის სამარხების შესახებ შემთხვევით შეიტყო და ტერიტორიის დათვალიერება გადაწყვიტა. მისი ინფორმაციით, სამარხები VI-VIII საუკუნეებს განეკუთვნება და გაძარცვულია. ზაზიევის აზრით, ამ ტერიტორიაზე შესაძლოა უძველესი ნაქალაქარიც არსებობდეს.

არქეოლოგი გიორგი ლაღიაშვილი, რომელმაც სამარხები უკვე დაათვალიერა, გამოიკვლია უძველესი კულტურული ძეგლების გაძარცვას. როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს არქეოლოგიური სამსახურის უფროსმა კიაზო ფიცხელაურმა განაცხადა, დედოფლისწყაროს რაიონის იმ ტერიტორიაზე, სადაც სამარხებს მიაკვლიეს, არქეოლოგიური სამუშაოები, სავარაუდოდ, 2017 წელს განხორციელდება. ფიცხელაურის თქმით, აკლდამების შესწავლის პროექსში უცხოელი სპეციალისტებიც ჩაერთვებიან.

„უცხოელ პარტნიორებთან გვაქვს აქტიური თანამშრომლობა. რამდენიმე სამარხზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას 2017 წლის ბიუჯეტით აუცილებლად გავითვალისწინებთ“, - განაცხადა ფიცხელაურმა. პოლიციამ მოკვლევა დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიმართვის საფუძველზე, რომლის თანახმადაც დედოფლისწყაროს რაიონში, ივრის ზეგანზე უცნობმა პირებმა VI-VIII საუკუნეების რამდენიმე სამარხი დააზიანეს.



საკალათბურთო ნაკრები „რუსთავი“ დედოფლისწყაროს საკალათბურთო ნაკრებს შეხვდა

5 მაისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრს ქალაქ რუსთავის საკალათბურთო ნაკრები „რუსთავის“ წევრები და მათი ხელმძღვანელობა ეწვია. სტუმრად იყვნენ რუსთავის საკალათბურთო გუნდის წარმომადგენელი სპორტსმენები: წარმოშობით დედოფლისწყაროელი რამაზ გოგობერიძე და საკალათბურთო სპორტის დიდოსტატი მიხეილ ბერუაშვილი. სტუმრებს ადგილზე ჩვენი საკალათბურთო ახალგაზრდული ნაკრები შეეგება მწრთელის ზურაბ მხრინიშვილის ხელმძღვანელობით. საპატიო სტუმრებს მასპინძლის რანგში შეხვდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი და რაიონის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა და გუნდების ერთმანეთში გამოცდილების გაზიარებას ისახავდა მიზნად.

გუნდი ჩემპიონატის ყველა გათამაშებაში აქვს მონაწილეობა მიღებული. წლების განმავლობაში მას არაერთხელ შეეცვალა სახელწოდება, თუმცა ბოლო ოთხი წელი უკვე „რუსთავის“ სახელით ასპარეზობს. კლუბისთვის ყველაზე წარმატებული პერიოდი 2006-2010 წწ. იყო, როდესაც მან საქართველოს ჩემპიონის ტიტული ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა, ასევე ოთხჯერ ვერცხლის მედალოსანია, ბრინჯაოს მედალს კი სამჯერ დაეუფლა. 2009 წელს „რუსთავი“ საქართველოს თასის გამარჯვებულიც გახდა. რაც შეეხება მემორიალურ ტურნირებს, რუსთაველმა კალათბურთელებმა დედოფლისწყაროს მემორიალის მოგება ექვსჯერ შესძლეს, ხოლო ზურაბ საკანდელიძე - მიხეილ ქორქიას ტურნირის გამარჯვებულები კი ოთხჯერ გახდნენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „რუსთავმა“ საქართველო ფიბას საერთაშორისო ტურნირებზე ხუთჯერ წარადგინა. ოცდახუთწლიანი ისტორიის მანძილზე რუსთავის საკალათბურთო კლუბმა არაერთი წარმატებული სპორტსმენი აღზარდა. ესენი არიან: რამაზ გოგობერიძე, მიხეილ ბერუაშვილი, ირაკლი ჯავახიშვილი, ვლადიმერ ბოისა, ილია კეჭაყმადე, ანატოლი ბოისა, მიხეილ ქოჭუა, აკაკი დვალისძე, გიორგი ცეკვაძე.

„გარდა იმისა, რომ გინდათ გქონდეთ წინსვლა და ნაკრებში მოხვედრის სურვილი გვაჩნიათ, მთავარი ერთია, რომ ჯანსაღ ცხოვრებას ეწევი, ეს ძალიან კარგია. ჩვენ ვეცდებით ჩვენი მხრიდან გარკვეული გამოცდილება გავიზიაროთ, მხოლოდ გაითვალისწინეთ, ძალიან ბევრი მუშაობა მოგიწევთ. სპორტი ბრძოლაა და უნდა იცოდეთ, რომ ბრძოლა მოგინებთ, თუკი პროფესიონალებში მოგიხდებთ თამაშის გაგრძელება. თუ რომელიმე მოთამაშე მოგვეწონა, შეიძლება მომავალში ნაკრებში ვათამაშოთ, ვეცდებით დავგებოთ“ - აღნიშნა თავის სიტყვაში მიხეილ ბერუაშვილმა. თავის მხრივ მიესალმა დედოფლისწყაროს საკალათბურთო ნაკრების წევრებს რამაზ გოგობერიძე - „მინდა გითხრა, რომ დედოფლისწყარო ჩემი დედოფლია და განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ამ რაიონის მიმართ, მაქვს სურვილი, რომ თქვენს გუნდს ყველაწინადად გვერდში დავუდგე და თუკი რაიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა იქნება, მივალე ჩემი მონაწილეობა, აუცილებლად შევეცდებით გავაკეთოთ თქვენთვის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით მასკიმუმი“ - აღნიშნა გიორგი ცეკვაძემ. მანვე ჩვენი საკალათბურთო გუნდების კაპიტნებს გადასცა კალათბურთის ბურთები.



ბრებების სახით. „უკვე ორი წელია ამ საქმეს ვემსახურები და ვასწავლი კალათბურთს, მიმართა, რომ ჩემს ნაკრებში არიან ბიჭები, ვისაც კარგ მომავალს ვუწინანარმეტყველებ, მე განიხარდება, თუ ჩემი შრომა დაფასდება და ისინი ჩემს მიერ ჩადებულ მთელს ერთუზიანს ასეთი კუთხით დააფასებენ. ვპირდება დედოფლისწყაროს საზოგადოებას, რომ მალე კალათბურთი დედოფლისწყაროში ერთ-ერთი წამყვანი სპორტი გახდება.“

ბა და ამისთვის ძალ-ღონეს არ დავიშურებ.“ - აღნიშნა შეხვედრის დასასრულს ჩვენთან საუბარში დედოფლისწყაროს საკალათბურთო ნაკრების მწვრთნელმა ზურაბ მხრინიშვილმა.

ლალი მხრინიშვილი

იყიდება!
იყიდება ბინა ბელეტაყი ძნელადის ქუჩა N25-ში. არის კეთილმოწყობილი, გაზით, წყლით, საკარმიდამო ნაკვეთით. ასევე იყიდება პიანინო „უკრაინა“ კარგ მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ☎ 593 79 56 59. იკითხეთ მანანა ბასილაშვილი.

კონკურსი „2016 წლის ადამიანი“

გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მიერ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად საქართველოს მასშტაბით გამოვლინდნენ 2016 წლის ადამიანები.

ზაზა აზმაიფარაშვილი-დირიჟორი;
ბაჩუკი გონაშვილი-ფერმერი, საქართველოს პარლამენტის ორგზის მოპწვევის მაფორიტარი დეპუტატი (დედოფლისწყარო);
გიორგი კეკელიძე-საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი;
როინ მალაყმადე-ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი (ბათუმი);
როინ მჭედლიშვილი-ს.ს. „ფიროზას“ დირექტორი (ბორჯომი);
რევაზ ტაკიძე, გოგი ჭიჭინაძე-დირიჟორები;
ვულოცავთ შესანიშნავ შედეგებს „წლის ადამიანად“ აღიარებას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ღვთის მფარველობას და კვლავაც ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



ამინდი		დედოფლისწყარო		კვირა	
ორშაბათი 09.05 დღე	სამშაბათი 10.05 ღამე	ოთხშაბათი 11.05 დღე	ხუთშაბათი 12.05 ღამე	პარასკევი 13.05 დღე	შაბათი 14.05 ღამე
14°	13°	14°	13°	16°	14°
16°	13°	16°	13°	19°	18°
20°	16°				

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს პეტრო.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრინიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტიკა); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მხეცვერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მხეცვერი); მზია ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროზანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	---	---	---